საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №112

2011 წ. "28" 07

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

2. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №13 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
იოსებ სალუქვაძე

სხდომის მდივანი
გაიანე სიმონია